საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

294-ს-4-201506251626 25/06/2015

ბრძანება N ს-294

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული N87 ხელშეკრულების მოშლის (გაუქმების) შესახებ

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული N1443 კონკურსში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 31 დეკემბრის Nს-760 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“, რომელთანაც 2015 წლის 31 მარტს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N87 ხელშეკრულება (შემდგომში ხელშეკრულება).

ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად ,,შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა: ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩა №15-ში მდებარე (ს.კ. 05.25.12.005) მიწის ნაკვეთზე 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 579000 ლარს.

ხელშეკრულების 3.4. პუნქტის თანახმად, ,,„ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) დღეში „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საექსპერტო დასკვნით). ექსპერტი: პროფილირებული საექსპერტო კომპანია ან დამოუკიდებელი, აკრედიტირებული ექსპერტი. „მხარეები“ ექსპერტის ან/და საექსპერტო ორგანიზაციის თაობაზე დამატებით წერილობით შეთანხმდებიან ინიციატორი „მხარის“ მიერ მეორე „მხარის“ სახელზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. დაუშვებელია დაუსაბუთებელი უარის განცხადება’’.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის, ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის (შექმნილია აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 19 ივნისის N290 ბრძანებით), 2015 წლის 09 ივნისის N01-944 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინსტროსა და ,,IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს შორის გაფორმებული ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქუჩა N15-ში მდებარე (ს.კ. 05.25.12.005) მიწის ნაკვეთზე 20 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე, 2015 წლის 31 მარტის N87 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათ) დღეში წარმოედგინა საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საექსპერტო დასკვნით) რაც არ შესრულებულა. ასევე, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად ,,IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს, 2015 წლის 09 ივნისამდე მიცემულ დამატებით ვადაშიც (სამინისტროს 2015 წლის 27 მაისის N01-10/2293 წერილი) არ წარმოუდგინა ზემოთხსენებული დოკუმენტაცია’’.

აქვე აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული №87 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის თანახმად, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების ეტაპებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან/და ასრულებს არაჯეროვნად, „შემსყიდველი“ მიმწოდებელს აძლევს გონივრულ ვადას (არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღე) ვალდებულების შესასრულებლად, რა დროსაც მიმწოდებელს ერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 01 დღის პირგასამტეხლო კი შეადგენს 289,5 ლარს. აღნიშნულის შესაბამისად, „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს ეთხოვა შეესრულებინა ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. კერძდ, 2015 წლის 09 ივნისამდე წარმოედგინა ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.4 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები და 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გადაეხადა დარიცხული პირგასამტეხლო 2015 წლის 21 მაისიდან ვალდებულების შესრულებამდე და სამინისტროში წარმოედგინა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2015 წლის 05 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინსტროში შემოვიდა „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ის წერილი (რეგ. N3519), რომლის მიხედვითაც „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ი მოითხოვს, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვალოს, ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად დაუძლეველი გარემოებად და გადავადდეს საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება, სახელმწიფო უწყებების მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების პროცესის დასრულების შესახებ, მათზე ოფიციალური შეტყობინების მიღების თარიღიდან მომდევნო 50 დღით.

საქმის შესწავლითა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ის წარმოდგენილი წერილის შინაარსიდან გამომდინარე, სამინისტრო ვერ გაიზიარებს „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ის თხოვნას, ვინაიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგად, რასაც ხელშეკრულების მე-11 მუხლი ითვალისწინებს.

„IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ისათვის, ხელშეკრლების გაფორმების თანავე ცნობილი იყო მისი მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მისი დარღვევის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხებული პირობები, კერძოდ ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. პუნქტის თანახმად, ,,თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს „ხელშეკრულების“ ეტაპებით, მათ შორის დანართი N2 გრაფიკით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან/და

ასრულებს არაჯეროვნად, „შემსყიდველი“ მიმწოდებელს აძლევს გონივრულ ვადას (არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღე) ვალდებულების შესასრულებლად, რა დროსაც მიმწოდებელს ერიცხება პირგასამტეხლო 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.'' ჩვენ შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შესრულდა, რის გამოც სამინისტროს 2015 წლის 27 მაისის N01-10/2293 წერილით ეცნობა, რომ მას ხელშეკრულების 10.1. პუქნტის თანახმად, მიეცა ვადა და ასევე ეცნობა, რომ გადასახდელი ქონდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05 %, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დღეში 289,5 ლარი. ასევე, აღნიშნულ ვადაში შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო ხელშეკრულების 10.3. პუნქტის შესაბამისად, ცალმხრივად მოშლიდა ხელშეკრულებას, მიცემული ვადის გასვლისთანავე.

საქმეში არსებული დოკუმენტების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინსტროს მიაჩნია, რომ „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ის მხრიდან დარღვეულია ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულება. კომპანია არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ სხვა ვალდებულებებსაც. შესაბამისად სამინისტროს მიაჩნია, რომ შემსყიდველის მხრიდან გამოყენებულ უნდა იქნას ხელშეკრულების 10.3. პუნქტი და ხელშეკრულება ცალმხრივად უნდა მოიშლოს (გაუქმდეს), ხოლო მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო 12448.5 ლარის ოდენობით, ვალდებულების დარღვევიდან 2015 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს 2015 წლის 31 მარტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N87 ხელშეკრულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 01 მაისს №44 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს (მოიშალოს) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული N87 ხელშეკრულება.

2. „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს, ეცნობოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.“-ს შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული N87 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ეკისრება პირგასამტეხლო 12448.5 ლარის ოდენობით. პირგასამტეხლო გადახდილ იქნას შემდეგ სახაზინო კოდზე 300923287.

3. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების შესაბამისი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

4. ხელშეკრულების მოშლის ნაწილში, წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ადმინისტრაციული საჩივრით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის.

ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქუჩა N9), დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 01 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო პირგასამტეხლოს ნაწილში, ბრძანება ჩაითვალოს . „IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.-ზე" თანხების გადახდის შეტყობინებად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

იონა წითელაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

.